

# ქვეყნის სტარტაპ გარემოს განვითარების ხელისშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორები

**მირიან მირინაშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,  
ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (საბანკო და საფინანსო საქმე)

კვლევის ხელმძღვანელი: გიორგი დანელია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მირიან მირინაშვილი

2020 წელი

## აბსტრაქტი

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას სხვადასხვა ფაქტორები განაპირობებს. ქვეყნის განვითარების დონის მიხედვით მისი ეკონომიკის განმავითარებელი ფაქტორები განსხვავებულია. ისეთი ეკონომიკისთვის როგორც ჩვენს გვაქვს, გარდამავალი ეკონომიკისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დონე. "მცირე და საშუალო ბიზნესი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების ქვაკუთხედეა. მას გადამწყვეტი როლი განეკუთვნება ქვეყნის რესურსული პოტენციალის ამოქმედების, ეკონომიკის სტაბილური, დინამიური განვითარების, მოსახლეობის დასაქმების, შემოსავლების დონის ამაღლების და სხვა სოციალური პრობლემების გადაჭრის საქმეში. მსბ (მცირე და საშუალო ბიზნესი) განსაკუთრებულ ფუნქციას იძენს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის. აქ მისი როლი არ განისაზღვრება მხოლოდ საბაზრო სისტემის განვითარებითა და მისი მექანიზმის სრულყოფით, რაც თავისთავად უაღრესად მნიშვნელოვანია. საქართველოსა და მის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნებისათვის პირველი რიგის ამოცანაა თვით ამ საბაზრო სისტემის საფუძვლების შექმნა, რაც მცირე და საშუალო საწარმოების ჩამოყალიბებით იწყება. მათი მეშვეობით მიიღწევა დიდი ზომის საწარმოების რესტრუქტურირება, ბაზართან ადაპტირება და კონკურენტუნარიანობის ზრდა, ეკონომიკური ტრანსფორმაციის შედეგად წარმოქმნილი ჭარბი სამუშაო ძალის დასაქმება, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წონასწორობა".

(ეკატერინე გობეჯიშვილი "საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფის მიმართულებები" წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

ეკონომიკის სწრაფ განვითარებას, როგორც აღვნიშნეთ, ხელს უწყობს ახალი საწარმოების შექმნა, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, არსებული საწარმოების/ბიზნესების განვითარება/გადაიარაღება მათი ეფექტურობის გასაზრდელად. აღნიშნული საკითხის გაანალიზებამ გადაგვაწყვეტინა სამაგისტრო ნაშრომი მოგვემზადებინა სტარტაპ კომპანიებზე, სტარტაპ გარემოზე, უფრო კონკრეტულად კი საქართველოს რეალობიდან გვემსჯელა „ქვეყნის სტარტაპ გარემოს ხელისშემშლელ და ხელშემწყობ ფაქტორებზე“.

ნაშრომში განვიხილავთ იმ ძირითად ფაქტორებს რაც სტარტაპ ეკოსისტემის განვითარებისთვის არის მნიშვნელოვანი. მაგ. როგორცაა დაფინანსების წყაროები, სახელმწიფოს როლი, კერძო სექტორის ჩართულობა. ასევე შევხებით კანონმდებლობას, რეგულაციებს, განათლების დონის მნიშვნელობას და სხვ.

განვიხილავთ თუ რა გაკეთდა ბოლო წლების განმავლობაში ამ მიმართულებით და რა ნაბიჯებია დაგეგმილი შემდგომი განვითარებისთვის როგორც სახელმწიფო („სტარტაპ საქართველო“, „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“), ასევე კერძო სექტორის მხრიდან („თიბისი სტარტაპი“, საქართველოს ბანკი „Startup Grind“-ის ღონისძიების მხარდაჭერა, კრედო ბანკი, მსო MBC).

## Abstract

The development of the country's economy is determined by various factors. The economic development factors of a country vary according to its level of development. For an economy like ours, one of the most important factors for a transition economy is the level of small and medium business development. "Small and medium-sized businesses are the cornerstone of the formation and development of a market economy. For a country with a transition economy, its role here is not only determined by the development of the market system and the perfection of its mechanism, which in itself is extremely important, but also for Georgia and its countries to establish the foundations of this market system, Restructuring large-scale enterprises, adapting to the market and increasing competitiveness, achieving surplus production as a result of economic transformation "Employment of Shao force, political, economic and social balance."

(Ekaterine Gobejishvili "Directions for Improving the State Regulation of Small and Medium Entrepreneurship in Georgia" has been nominated for a doctorate)

The rapid development of the economy, as mentioned above, is facilitated by the creation of new enterprises, the introduction of innovative technologies, the development / re-equipment of existing enterprises / businesses to increase their efficiency. Analyzing this issue, we decided to prepare a master's thesis on startup companies, the startup environment, and more specifically, from the reality of Georgia, we discussed "factors hindering and contributing to the country's startup environment."

In this paper, we discuss the key factors that are important for the development of a startup ecosystem. E.g. Such as sources of funding, role of the state, involvement of the private

sector. We will also touch on legislation, regulations, the importance of the level of education, etc.

We will discuss what has been done in this direction in recent years and what steps are planned for further development by both the state (Startup Georgia, Georgian Innovation and Technology Agency) and the private sector (TBC Startup, Bank of Georgia Startup Grind). Event Support, Credo Bank, MSO MBC).